საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

15 აგვისტო, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 153 (10 322) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ასეთი თანადგომაა!

რა მტკიცება უნდა იმას, რომ მიზნის მისაღწევად ყენტად სიარულს თანამოაზრეთა შემოკრება და საერთო ძალისხმევით გარჯა სჯობს. გასულ შაბათს კასპში გამართული გიორგი სააკაძის სახელობის ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში ამის მშვენიერი მაგალითია: კასპის სპორტკომიტეტს მხარში ედგნენ ახალშექმნილი ჭიდაობის რაიონული ფედერაცია, სპორტკლუბი „ფალავანი“, რაისაბჭოს აღმასკომი, კასპის კულტურულ-სპორტული კომპლექსი და, რა თქმა უნდა, სპონსორებიც — მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკა, აგროსამრეწველო გაერთიანების საკონსერვო ქარხანა, დამზადების კანტორა და ნოსტეს მეფრინველეობის ფაბრიკა. ამიტომაც იყო ისეთი მიმზიდველი ეს ტურნირი, რომელმაც გულგრილი არავინ დატოვა — არც შინაური, არც უცხო. ჩვენ უკვე გაგაცანით კორესპონდენცია, რომელშიც ამ სამაგალითო ღონისძიებით მოგვრილი საერთო შთაბეჭდილება აისახა, დღეს კი გთავაზობთ „დიდი მოურავის“ პრიზის გათამაშების ფოტორეპორტაჟს და გაგაცნობთ ტურნირში გამარჯვებულთა ვინაობას.

მსუბუქი წონის მოჭიდავეებში ტოლი არ ჰყავდა ქარელელ გიგლა ალბეგოვს. 65 კგ წონაში იმარჯვა ხოვლელმა ზაზა ლელაშვილმა. 72 კგ წონით კატეგორიაში შეკრებილ ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში გაიმარჯვა კასპელმა ტრისტან ბაშარულმა. მომდევნო წონებში უძლიერესნი იყვნენ ჯემალ გუდიევი (78 კგ, კასპი), თემურ შოთიკაური (ქვემძიმე, ახმეტა) და გელა ბერუაშვილი (მძიმე, ქარელი).



„ერთ-ერთი სპონსორი ჩვენ ვიქნებით“

გვაცნობეს გუშინ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრიდან

ვწერდით, რომ ჩეხოსლოვაკიაში პარდუბიცეს ტრადიციულ სტიპლ-ჩეისში, წელს შემოდგომაზე საქართველოს მხედრები პირველად გამოვლენ დამოუკიდებლად. დახმარებას ვთხოვდით სპონსორებს. გუშინ საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრიდან გვაცნობეს, რომ ერთ-ერთი სპონსორი ეს ორგანიზაცია იქნება. ასეთი გადაწყვეტილება მიუღია შრომით კოლექტივს. ცენტრი 5.000 მანეთს გადარიცხავს.

ვინ იქნება შემდეგი? სულ პარდუბიცეს სტიპლ-ჩეისში მონაწილეობასთან დაკავშირებით 15 ათას მანეთამდე იქნება საჭირო.

ინფორმაცია

ახლახან დუბნაში დახრულდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. ვაჟთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო საქართველოს ნაკრების წევრი, ფოთელი ვახტანგ ბულბულოვი. საქართველოს წყალმოთხილამურეთაგან მან პირველმა შეძლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოპოვება.

უიღბლო დასაწყისი

ბოსკოვი მახლობლად ქალაქ პოდოლსკში მიმდინარეობს მოჭიდაკე ქალთა 50-ე საკავშირო ჩემპიონატი. ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად თამაშობენ ჩვენი თანამემამულეები ქეთევან არახამია და ნათია ჯანჯღავა.

III ტურში არახამია დამარცხდა მატვეევასთან, IV ტურში კი სძლია ციგანოვას და 4 ტურის შემდეგ 2 ქულა აქვს.

რაც შეეხება ჯანჯღავას, მან III ტურში დათმო პარტია ერნესტესთან, ხოლო IV ტურში დაუზავდა ფურინას და ჯერჯერობით მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

მოჭიდავეები აღარ ხუმრობენ

ბინსკი. აქ დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. როგორც ტელეფონით გვაცნობეს, საქართველოს ნაკრებმა გუნდური გამარჯვება მოიპოვა. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: 52 კგ წონით კატეგორიაში — დავით სირაძე (როზურგეთი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) და 64 კგ-ში — ლევან გაბუნია (ქუთაისი, „დინამო“).

ამ ორი პირველი ადგილის გარდა, ჩვენმა მოჭიდავეებმა სამი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რამაც განაპირობა კიდეც ჩვენი გუნდის გამარჯვება.

მოსწავლეთა სპარტაკიადა საქართველოს მოჭიდავეთათვის კარგად დაიწყო. თავისუფალი სტილის ათლეტებმა და სამბისტებმა პირველი გუნდური ადგილები უკვე მოიპოვეს, მაგრამ ამ გამარჯვებებს მიაღწიეს შინ, ასე ვთქვათ, საკუთარ მოედანზე. ახლა „კლასიკოსები“ მინსკიდან დაგვიბრუნდებიან ხელდამშვენებულნი და უფრო დაწვრილებით ტურნირის შედეგებზე მაშინ ვისაუბრებთ.

გუშინ...

როგორც ვიუწყებოდით, გუშინ დაიწყო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა კალათბურთსა და ხელბურთში. გაიმართა პირველი შეხვედრები. კალათბურთი: მოსკოვი — ყაზახეთი (ჭაბუკები) — 77:65 (44:33); უკრაინა — ყირგიზეთი (გოგოები) 107:52 (48:28); ხელბურთი (გოგოები): უკრაინა — ლატვია 33:18 (20:10); რსფსრ — ბელორუსია 21:19 (10:10).

თამაშები საქართველოს ნაკრების მონაწილეობით გვიან გაიმართა.

სამგზავრ გაითავისეს

ბანგლი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის სამბისტთა ტურნირის დაძაბულმა დღეებმა. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა სპორტს სამომავლოდ, ყველას კარგად მოეხსენება. სწორედ ამიტომ გამოიწვია სპეციალისტთა დიდი ინტერესი ამ ასპარეზობამ. ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სამბისტები, ჭიდაობის სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან შედარებით, ერთობ მოკრძალებული შედეგებით გამოირჩეოდნენ. ბოლო ხანს კი ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ყველას ჰქონდა შესაძლებლობა ეხილა — რას უნდა ველოდოთ მომავალში, როგორი ცვლა მოგვდის.



სპორტი, მოგეხსენებათ, აღსავსეა მოულოდნელობებით. სწორედ ასეთ მოულოდნელობას უნდა მივაწეროთ კასპელი მოჭიდავის ნიკოლოზ რაზმაძის სპრიზო ადგილების მიღმა დარჩენა. არადა, მწვრთნელები მასზე გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ.

მოულოდნელობა გახლდათ ასევე გოგოების საკმაოდ დიდი რაოდენობა სპორტის ამ მართლაც რთულ და მძიმე სახეობაში. თითქმის ყველა რესპუბლიკაში მუშაობს გოგოთა ჯგუფები სამბოში, როგორც საკავშირო სპორტსახკომის წარმომადგენლებმა აღნიშნეს: „გოგოებს არავინ ახევს კალთებს, მოდით ივარჯიშეთ სამბოშიო, მაგრამ, როგორც ხედავთ, მსურველი მაინც ბევრია“. ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა სამბო არაა პოპულარული, მაგრამ ჩვენმა ძიუდოისტმა გოგოებმა აქაც მოსინჯეს ძალები და, არცთუ ურიგოდ. თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ.

პირველ ორ დღეს კარგად გამოსვლის შემდეგ, მომდევნო დღეებში ქართველ მოჭიდავეთა ბრინჯაოს მედლები, ცოტა არ იყოს მოკრძალებულ შედეგებად უნდა ჩაითვალოს.

ასპარეზობის ბოლოსწინა დღეს მხოლოდ ქარელელმა გია კილასონიამ შეძლო ნახევარფინალში ასპარეზობა. წინასწარ შეხვედრებში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ

იხ. მე-3 გვ.

მედლის მეორე მხარე

სახალხო დიპლომატია — დაგვეთანხმებით, დღეს ამ გამოთქმამ ეკუმარიტი შინაარსი შეიძინა. და ნამდვილად საკვირველ როლს თამაშობს სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების ადამიანთა დაახლოებაში. ავანსცენაზე გამოდის თვით ხალხი, რომელსაც სურს აქტიური როლი შეასრულოს თანამედროვე მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში. სპორტულმა მოძრაობამ შეიძლება იამაყოს იმით, რომ ამ საკაცობრიო მნიშვნელობის პროცესში სასურველ პოლიტიკურ ამინდს ქმნის და სახელმწიფოთა ლიდერებს საქმესაც უადვილებს.

ვინც თვალყურს ადევნებდა სიეტლის კეთილი ნების თამაშების გახსნას, არ შეიძლება ეს არ ეგრძნო და შეენიშნა. ბევრი პოლიტიკური ლიდერი პირადად ჩავიდა სიეტლში, გორბაჩოვმა მისალმება გაუგზავნა თამაშების ორგანიზატორებს, ბუშმა კი წლის ამ უდიდესი კომპლექსური სპორტული ასპარეზობის გახსნა სტადიონზე დადგმული ვეებერთელა ელექტროეკრანიდან მიულოცა სპორტულ სამყაროს.

ის იყო, „ჰასკის“ სტადიონის ტერიტორიაზე ფეხი შევდგი, რომ ხალხი ერთბაშად აჩოჩქოლდა. მანქანიდან დაცვის თანხლებით გადმოვიდა რონალდ რეიგანი. რეიგანს, როგორც აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტს, დიდი დამსახურება მიუძღვის კეთილი ნების პირველი თამაშების ჩატარებაში და მან საპიროდ ჩათვალა ახლა პირადად მიეღო მონაწილეობა მეორე თამაშების გახსნის ცერემონიალში. წარმოუდგენლად დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ჯერ სტადიონის მისადგომებთან გამოჩენამ, შემდეგ კი ხალხით გაჭედილი ტრიბუნების წინ მისმა გამოსვლამ და მისალმებამ.

სახალხო დიპლომატია ვახსენეთ. თამაშების დღეებში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა, თუ რა უსაზღვროა ამგვარი ურთიერთობის მნიშვნელობა და პერსპექტივა. ამერიკელებს პირველად ანდეს საბჭოთა მოქალაქეების ოჯახებში მიღება და მასპინძლობა. ეს დიდი პატივი იყო ამერიკელებისთვისაც და ჩვენთვისაც. თავდაპირველად სკეპტიკურად იყო ბევრი სტუმარი განწყობილი, მაგრამ მასპინძლობამ, როგორც იტყვიან, პირველი დღეებიდანვე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.



● სიეტლის ერთ-ერთი კუთხე

● „ჰასკის“ სტადიონის მიხასვლელთან

— ეს ხალხი ყველაფერს აკეთებს ჩვენი ღიმილისთვის, — თქვა ერთმა მოსკოველმა ჟურნალისტმა.

დიახ, ერთ დროს ღიმილიც საოცნებო იყო. განსაკუთრებით საბჭოთა ადამიანების ღიმილს იყენენ დანატრებული ამერიკელები, სხვათა შორის, „სტუმრის ცნობარში“ ასეთ დარიგებასაც ამოიკითხავდით: „როგორი სევდიანიც უნდა იყოთ, როგორც უნდა გიმძიმდეთ, ეცადეთ გაიღიმოთ“.

არ შემიძლია არ ვთქვა: ოჯახები, სადაც ჩასულები ვცხოვრობდით, თავსაც კი იწონებდნენ იმით, რომ მათი სტუმრები ვიყავით. საღამოს შინ იწვევდნენ მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, რათა ეჩვენებინათ, რომ ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორიც ისინი. პრესა წერდა: „ამერიკელები დარწმუნდნენ, რომ საბჭოეთიდან ჩამოსულთაც ორი თვალი და ორი ხელი აქვთ და ისევე ჩვეულებრივი ადამიანები არიან, როგორც ჩვენ-“ო.

ჟურნალისტები ქალაქის ყველაზე პრივილეგიურ რაიონში, მწვანეში ჩაფლულ სახლებში ვცხოვრობდით. აქ გამორჩეულად შეძლებული ხალხი სახლობს. ჩემი მეორე მასპინძელი (თითოეული ჟურნალისტი ორ ან სამ ოჯახში ცხოვრობდა მორიგეობით), რომლის ბინა „ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტად იქცა, თავდაპირველად არ ყოფილა იმ მოხალისეთა სიაში, ვინც სტუმრების შინ მიღებაზე შეიტანა განცხადება. ამ ოჯახს მერე მიუმართავს ტურისტული კომპანიის ბიუროსთვის, რომელიც ამ საქმეს განაგებდა. ესაა კომპანია „როტარი“, რომელსაც, სხვათა შორის, მსოფლიოს 167 ქვეყანაში აქვს თავისი სააგენტოები. ოჯახებს, სადაც „ლელოს“ წარმომადგენელი ცხოვრობდა, ზოგადი წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოზე. შემდეგ ისინი თამაშების დღეებში გამართულ ყველა „ქართულ ღონისძიებას“ ესწრებოდნენ ახლობლებთან ერთად.

საბჭოთა კავშირიდან ჩასული სპორტული დელეგაციის წევრებს საკავშირო სპორტსახკომმა სიეტლში „ჯიბის ფული“ — 80-80 დოლარი დაურიგა მოსკოვში წინდაწინ გადახდილი 47 მანეთის სანაცვლოდ. ყველა ხარჯი — ტრანსპორტისა, კვებისა, ექსკურსიებისა, კულტურულ სანახაობებზე დასწრებისა და ა. შ. — თამაშების ორგანიზატორებმა და ოჯახებმა იკისრეს.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბევრმა სიახლემ. სიეტლის აეროპორტი, ვფიქრობთ, მსოფლიოში ერთადერთია, სადაც შენობაში გადაადგილება მეტროთი ხდება. თვითმფრინავიდან დარბაზში შესვლისთანავე ჩაჯდები ვაგონში და ერთი გაჩერების შემდეგ ჩამოდიხარ იქ, სადაც შენი ბარგი გელოდება.

უჩვეულო, მონორელსიანი მეტროა ქალაქშიც. უჩვეულო უფრო იმით, რომ ვაგონი ძირითადად ქუჩის გასწვრივ მოძრაობს — „მე-2 სართულზე“. გაჩერებები შენობაშია, ქუჩაში კი ლიფტით ჩადიხარ. თამაშების პრეს-ცენტრთან ახლოს, ერთ-ერთ შენობაში, სავაჭრო ცენტრში, ორკესტრი უკრავდა ძველ მელოდიებს, ხანდაზმულები კი გარდასულ დღეთა მოსაგონებლად თავიანთი ახალგაზრდობის-დროინდელ ცეკვებს ასრულებდნენ გატაცებით. თურმე მოხუცების გასართობად საგანგებო საზოგადოებაა შექმნილი, რომლის პროგრამაში ასაკოვანი ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი სპორტის სახეობებიც შედის.

გვეგონა, რომ ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და მოწოდების ტექნიკური სრულყოფის საქმეში საბოლოო სიტყვა სეულის ოლიმპიადაზე ითქვა, მაგრამ სიეტლში თურმე სიურპრიზი გველოდა. ისეთი სიურპრიზი და სიახლე, რომლის ოცნებაში წარმოდგენაც კი ძნელი იქნებოდა. ლაპარაკია ასანთის კოლოფზე ოდნავ მოზრდილ უნივერსალურ კომპიუტერზე, რომელიც ჟურნალისტს ნებისმიერ ინფორმაციას აწვდის შეჯიბრებების ადგილიდან, აცნობს დღევანდელ თუ ხვალინდელ პროგრამას, გუნდებისა და სპორტსმენების დოსიეს და ა. შ. საკვირველია, რომ ეს პატარა აპარატი ტელეფონიცაა და რადიოკავშირით ესაუბრები სასურველ აბონენტს...

ისევ ამერიკელთა ოჯახებს დავუბრუნდეთ. მეტწილად ამ ქალაქში საკუთარ ორ, სამ- და ოთხსართულიან სახლებში ცხოვრობენ. ყველა სახლს აქვს ეზო... და სპორტული კუთხე. ბავშვებისთვის კი შენობის სარდაფში სპორტული და გასართობი დარბაზია მოწყობილი. ამერიკელის ოჯახი თავად ზრუნავს ოჯახის წევრთა სპორტით გაკაჟებაზე, არის საცხოვრებელ ადგილებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბები. მათს წევრებს მეცადინეობის საფასურს ის ფირმები უხდიან, სადაც მომეცადინენი მუშაობენ.



● „ჰასკის“ სტადიონის პრეს-ლოჟა

● ამერიკელი დიასახლისი ხასურსათო მაღაზიიდან გამოვიდა

ამერიკელები პრობლემების მარტივად, მაგრამ პროფესიულ დონეზე გადაწყვეტის დიდოსტატები არიან. ავიღოთ ბავშვთა კალათბურთის დგარი და ფარი, რომლის მაგივრობას თბილისის ეზოებში, ხეზე ან კედელზე მიმაგრებული ძველებური, „მარელისის“ სკამი სწევს. პლასტმასისგან დამზადებული, უბრალო, მაგრამ თვალმისაზიდი დასამლელი, ამავე დროს მსუბუქი კალათბურთის დგარი თავისი ფარით მაღაზიებში იყიდება და თითქმის ყველა ეზოში ნახავთ. პლასტმასის საჭუჭმალაოებიც ასევე ყველასთვის ხელმისაწვდომია.

...ამერიკელებს წვეულების მოწყობის თავისებური წესი აქვთ. ლაპარაკია რიგით სტუმრობაზე და არა საღღესასწაულო რიტუალზე. როცა მასპინძელი საბჭოთა კავშირიდან ჩასული სტუმრების პატივსაცემად ვახშამს მართავდა, ყველა მოწვეულს თავად მოჰქონდა საჭმელ-სასმელი, ზოგს — რა, ზოგს — რა. ამით ისინი განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ იმ სტუმარს, ვისი გულისთვისაც ოჯახში იკრიბებიან.

ესეც უნდა თქვას ამერიკელ მასპინძელი ბიზნესია, თუ სტუმარს იმით ასიამოვნებს, რაც მას ეტაცება და ინტერესებს, და — არა იმით, რაც თავად მასპინძელს სურს და მოსწონს. ეს ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როცა მასპინძელმა საუბარში სხვათა შორის მკითხა, მიყვარს თუ არა მუსიკა და როგორ მუსიკას ვანიჭებ უპირატესობას.

— ყველაზე მეტად ქართული ხალხური სიმღერები მიყვარს-მეთქი — ვუთხარი. ერთ საღამოს, როცა ოჯახში რიგითი წვეულება დამთავრდა და მე ჩემთვის გამოყოფილ სართულზე წავედი დასაძინებლად, რამდენიმე წუთში საძინებელი ოთახის კარზე ოჯახის უფროსმა დამიკაკუნა.

— ეს თქვენ ჩვენი ოჯახისგან საჩუქრად, — მითხრა და მაგიდაზე მაგნიტოფონი დადო, ღილაკს თითი დააჭირა და... ოთახში ქართული ხალხური სიმღერების ჰანგები დაიღვარა.

ასეთი რამ კაცს არასოდეს დააკვნუდება.

საიდან გაჩნდა ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერი? ანსამბლი „რუსთავი“ ვაშინგტონის შტატშიც ყოფილა საგასტროლოდ ჩასული, მაშინ ერთ-ერთ მუსიკალურ ფირმას ჩაუწერია ქართული სიმღერები. ამ კასეტებზე თურმე დიდი მოთხოვნაა.

ამერიკელები საოჯახო საქმეებისა და ყოველდღიური საზრუნავისაგან განტვირთულები არიან. ძირითადად გამზადებულ პროდუქტებს იყენებენ, არჩევანიც, ცხადია, დიდი აქვთ. ისინი მთელ თავისუფალ დროს ახმარენ სულიერ და ფიზიკურ სრულყოფას, ბევრს ზრუნავენ ბავშვების გაკაჟებაზე, მათს ჰარმონიულ აღზრდაზე. ოჯახის გარდა, ამის შესაძლებლობა მათ აქვთ ე. წ. კეთილმოწყობილ სახალხო სპორტულ ბაზებზე, რომლებიც მრავლადაა ქალაქის ყველა მიკრორაიონში.

თენგიზ გაჩეჩილაძე.
სიეტლი — თბილისი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№150, 151.

გაგრძელება იქნება.

ახლა შორს დაწვრილებით

ქალთა ჰადრაკის მიმართ საკავშირო ორგანოების უყურადღებობამ და გულგრილობამ, სამწუხაროდ, სისტემატური ხასიათი მიიღო. ალბათ გახსოვთ, რა დიდი გაპირვებით ვიღებდით ცნობებს საზონათშორისო ტურნირიდან, რომელიც მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში ტარდებოდა. ბოლოს და ბოლოს დამთავრდა შეჯიბრება და მონაწილენი შინ დაბრუნდნენ. გულშემატკივრებმაც უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს განვლილი ბრძოლის დეტალებზე. მაგრამ მალაიზიაში დარჩა ჩვენი ერთი მოჭადრაკე ნინო გურიელი, რომელსაც პრეტენდენტთა ტურნირის მესამე საგზურისთვის დამატებითი მატჩი უნდა გაემართა იუგოსლავიელ ალისა მარიჩთან. აი. აქ კი, საბოლოოდ დავკარგეთ კავშირი მალაიზიასთან და მატჩის ამბავი მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვეთ, როცა ნინო გურიელი შინ დაბრუნდა. მანამდე კი... რედაქციაში მუდმივად გვირეკავდნენ, გვეკითხებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხს ვერც ერთ შეკითხვაზე ვერ ვცემდით.

ახლა საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ გვიამბო: საზონათშორისო ტურნირის დამთავრების სამი დღის შემდეგ დაიწყო დამატებითი მატჩი, ოღონდ იმავე სამთო კურორტზე კი არა, სადაც ძირითადი შეჯიბრება ტარდებოდა, არამედ ბარში — რომელიღაც პატარა ქალაქში. კლიმატური პირობების შეცვლამ უარყოფითად იმოქმედა მატჩის ორივე მონაწილეზე, მით უფრო, რომ ძირითადი ტურნირიც საკმაოდ დაძაბული, ხანგრძლივი (17 ტური) და ნერვული იყო.

იუგოსლავიელი ნინოზე უფრო გამძლე აღმოჩნდა, თუმცა მატჩის პირველი ნახევარი ქართველმა მოჭადრაკემ მოიგო — 2:1 (გურიელმა გაიმარჯვა პირველ და მესამე პარტიებში). საბედისწერო აღმოჩნდა მეოთხე და მეხუთე პარტიები, რომლებშიც ჩვენმა თანამემამულემ რამდენიმე უმარტივესი შეცდომა დაუშვა, იუგოსლავიელმა კი, „ძიღო ძღვენი“ და დაწინაურდა. ანგარიშზე 3:2 (იუგოსლავიელის სასარგებლოდ) მატჩი შეწყდა. მეექვსე პარტიის ჩატარებას აზრი აღარ ჰქონდა. ყაიმის შემთხვევაშიც კი გამარჯვება მარიჩს რჩებოდა, ვინაიდან ძირითადი ტურნირის კოეფიციენტი მას უფრო მაღალი ჰქონია.

სამგზავრ გაითავისეს

(დასასრული)

ოგი ნახევარფინალში მოსკოველ მ. ვეტროვს შეხვდა. მცირე უპირატესობა მოსკოველის მხარეს იყო და გამარჯვებაც მას დარჩა. გია კილასონია კი „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდა. ამავე დღეს გოგოებს შორის კარგად იასპარეზა თბილისელმა ირმა მელიქიშვილმა, რომელმაც კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი შესძინა თავის გუნდს. პირველ ადგილზე გავიდნენ მ. ვეტროვი და ა. გრიდასოვა.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრების ბოლო დღე. სწორედ ამ დღეს უნდა გამოვლენილიყო გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებული. მიზანთან ახლოს ორი გუნდი იმყოფებოდა — მოსკოვისა და საქართველოსი. ჩვენს გუნდს მძიმე წონაში ორი მოჭიდავე ჰყავდა, ვინაიდან 55 კგ წონით კატეგორიაში მწვრთნელებს მონაწილე არ გამოუყვანიათ. საკმაოდ დამაჯერებლად დაიწყო ასპარეზობა ქუთაისელმა ნიკო ნიკოლაძემ — წინასწარ შეხვედრებში ყველა მეტოქეს აშკარა უპირატესობით სძლია. მან ნახევარფინალურ შეხვედრაშიც იაქტიურა — ზედიზედ რამდენიმე ქულა აართვა მეტოქეს და ბოლოს მტკივნეული ილეთით წმინდა გამარჯვება მოიპოვა. თბილისელმა თემურ ლატაურმა ნახევარფინალური შეხვედრა სუსტად ჩაატარა ბელორუს ს. სოვინიჩთან და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

ფინალში ნ. ნიკოლაძე და ს. სოვინიჩი დადგნენ პირისპირ. ბელორუსიელმა მოჭიდავემ პასიური ბრძოლა შესთავაზა ნ. ნიკოლაძეს, ძირითადად დაცვაზე ზრუნავდა და ბრძოლას გაურბოდა, მაგრამ ნიკოლაძემ გამარჯვების ქულა მაინც აართვა მეტოქეს და პირველობაც დაისაკუთრა. ამასთან, მისი გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების სამბოს განყოფილების უფროსს გია ოქროპირიძეს:

— საქართველოს ნაკრების წევრებს უმცროს ასაკში აქვთ გარკვეული წარმატებები, რაც ბავშვთა სკოლების ნორმალურ მუშაობაზე მეტყველებს. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამ გვიჩვენა, რომ სამბო საკავშირო მასშტაბით მაღალ დონეზეა. ჩვენი იმედები გაამართლეს და კარგად იასპარეზეს მიხეილ აბაშიძემ, ვასილ ყორბეზაშვილმა, ივანე არაბულმა, ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა. სამწუხაროდ, შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდნენ მამუკა რაზმაძე და ირაკლი გვიჭიანი — მათ შეეძლოთ საპრიზო ადგილების დაკავება. რაც შეეხება ჩვენს გოგონებს, მიუხედავად მათი წარმატებული ასპარეზობისა, ქალთა სამბოს განვითარებისთვის ჩვენს რესპუბლიკაში, გასაგებია, სიძნელეებს ვაწყდებით. ვფიქრობ, რომ გოგონების ამ სახეობაში ჩაბმა არც გვჭირდება, რადგან სამბო, განსხვავებით ძიუდოსაგან, მეტად რთული სახეობაა — მტკივნეული ილეთები ერთობ სახიფათოა სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის.

ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა სპორტის სპეციალისტებთან ერთად მედიცინისა და ფიზიოლოგიის დარგის მუშაკებმაც უნდა თქვან.

ბია ბურდული.

ᲑᲝᲒᲝᲔᲑᲘ. 38 კგ. 1. ლ. მიხაილიუკი (უზბეკეთი), 2. მ. შილოვა (ბელორუსია), 3. ი. სლუსარენკო (უკრაინა) და ო. ზაიცევა (უზბეკეთი).

40 კგ. 1. ო. კოლოტისტოვა (მოსკოვი), 2. გ. გეორქიანი (სომხეთი), 3. ს. ოდეევა (უზბეკეთი) და კ. მანუკიანი (სომხეთი).

42 კგ. 1. ნ. კარიცკაია (ბელორუსია), 2. ო. ანდრეევა (რსფსრ), 3. კ. ხაჩატრიანი (სომხეთი) და ნ. მეფოდეევა (უკრაინა).

45 კგ. 1. ლ. პოლოსიანი (სომხეთი), 2. ე. ასაგულაევა (თურქმენეთი), 3. ს. აპარშიევა (უზბეკეთი) და ე. მალინინა (რსფსრ).

48 კგ. 1. ლ. აჩკასოვა (თურქმენეთი), 2. ი. შამილოვა (აზერბაიჯანი), 3. ხატკევიჩი (ბელორუსია) და მ. ბარანოვა (თურქმენეთი).

51 კგ 1. ა. სმირნოვა (რსფსრ), 2. ტ. ივანოვა (ბელორუსია), 3. ს. ნიკოგოსოვა (სომხეთი) და ვ. ანდრიუშინა (უკრაინა).

55. კგ. 1. ნ. პავლოვა (რსფსრ), 2. ე. ტულუპოვა (უზბეკეთი), 3. ი. ქარელიძე (საქართველო) და გ. როდინა (მოსკოვი).

59 კგ. 1. ე. ჟირკოვა (რსფსრ), 2. ვ. ხოლოდი (უკრაინა), 3. ი. ლესინა (ლენინგრადი) და მ. რტიშევა (მოსკოვი).

63 კგ. 1. ა. ნაუმოვა (ლენინგრადი), 2. ი. სარნაცკაია (უკრაინა), 3. ო. ჯუმოვა (უზბეკეთი) და ნ. მაკეიენკო (მოლდავეთი).

68 კგ. 1. ა. გრიდასოვა (რსფსრ), 2. მ. დონოვა (მოსკოვი), 3. ე. ხარჩენკო (უკრაინა) და ი. მელიქიშვილი (საქართველო).

73 კგ. 1. ლ. ანაისინა (ლენინგრადი), 2. ტ. ლაგუტენკო (უკრაინა), 3. ნ. გრიბკოვა (რსფსრ) და ჩ. იანკინა (უზბეკეთი).

78 კგ. 1. ე. ვიტილოვა (რსფსრ), 2. ნ. ტუსინინა (რსფსრ), 3. ე. ბოგუდინოვა (უკრაინა) და ტ. კიტა (ბელორუსია).

+78 კგ. 1. ტ. კუსტოვა (რსფსრ), 2. ვ. ოკოლიტა (უკრაინა), 3. ტ. ფილატოვა (ბელორუსია) და ო. აფონინა (ბელორუსია).

ᲭᲐᲒᲣᲙᲔᲑᲘ. 38 კგ. 1. ს. მიხნოვიჩი (ბელორუსია), 2. დ. ხოდაჟაკულიევი (თურქმენეთი), 3. ფ. მუსაევი (აზერბაიჯანი) და უ. სამიევი (ტაჯიკეთი).

40 კგ. 1. კ. კიასოვი (თურქმენეთი), 2. ნ. რუსტამოვი (უზბეკეთი), 3. ე. ალეიანოვი (ყაზახეთი) და ე. ბაგალოვი (აზერბაიჯანი).

42 კგ. 1. ვ. ყორბეზაშვილი (საქართველო), 2. ვ. მარჩინკო (რსფსრ), 3. ზ. ოსმანოვი (აზერბაიჯანი) და ჩ. სულემონოვი (ტაჯიკეთი).

45 კგ. 1. მ. აბაშიძე (საქართველო), 2. ბ. მუსაევი (ყაზახეთი), 3. ბ. კირაკოსიანი (სომხეთი) და დ. კოპლენკო (თურქმენეთი).

48 კგ. 1. ს. ანნაევი (თურქმენეთი), 2. დ. გულმამედოვი (ტაჯიკეთი), 3. ა. ტრუბჩიკი (ბელორუსია) და ე. საგანნოვი (აზერბაიჯანი).

51 კგ. 1. ა. ბაშიროვი (თურქმენეთი), 2. ვ. ტიმოშკინი (მოსკოვი), 3. ლ. ალფაიძე (საქართველო) და ს. დენისენკო (ესტონეთი).

55 კგ. 1. ვ. უგოლნიკოვი (რსფსრ), 2. ა. იაკოვლევი (მოსკოვი), 3. რ. მელშეოვი (აზერბაიჯანი) და უ. მუშკოვი (უზბეკეთი).

59 კგ. 1. ფ. აბდალიმოვი (ყაზახეთი), 2. მ. დილაბაროვი (ტაჯიკეთი), 3. ა. პუშკარენკო (უკრაინა) და ა. რომანსკი (მოლდავეთი).

63 კგ. 1. დ. დრუშეი (ესტონეთი), 2. ა. ბუდაევი (მოსკოვი), 3. კ. ლახაევი (ყაზახეთი) და პ. სემეშკო (ბელორუსია).

68 კგ. 1. ს. ნიკოლაევი (ლენინგრადი), 2. დ. როდინი (რსფსრ), 3. ბ. სინჯარაძე (საქართველო) და ვ. ლოუშკი (მოსკოვი).

73 კგ. 1. მ. ვეტროვი (მოსკოვი), 2. დ. ბუდინინი (ესტონეთი), 3. ა. შნიტენკოვი (რსფსრ) და გ. კილასონია (საქართველო).

78 კგ. 1. ი. არაბული (საქართველო), 2. პ. ტორბენკოვი (მოსკოვი), 3. მ. მაკაშოვი (მოსკოვი) და ი. ბუჩინცევი (უზბეკეთი).

+78 კგ. 1. ნ. ნიკოლაძე (საქართველო), 2. ს. სოვინიჩი (ბელორუსია), 3. თ. ლატაური (საქართველო) და ტ. გასანბეკოვი (აზერბაიჯანი).

გთავაზობთ ცხრილს გუნდების მიერ დაკავებული ადგილებისა და ქულების ჩვენებით

ᲑᲝᲒᲝᲔᲑᲘ

1.	რსფსრ	364 ქულა
2.	უკრაინა	281
3.	უზბეკეთი	225
4.	ბელორუსია	216
5.	მოსკოვი	193
6.	თურქმენეთი	186
7.	სომხეთი	173
8.	ლენინგრადი	133
9.	აზერბაიჯანი	82
10.	საქართველო	78
11.	ლატვია	22

ᲭᲐᲒᲣᲙᲔᲑᲘ

1.	საქართველო	235
2.	მოსკოვი	221,5
3.	თურქმენეთი	209
4.	ყაზახეთი	169
5.	ბელორუსია	168
6.	რსფსრ	167
7.	ტაჯიკეთი	150,5
8.	აზერბაიჯანი	147
9.	ესტონეთი	135
10.	უზბეკეთი	130
11.	უკრაინა	108
12.	მოლდავეთი	88
13.	ლენინგრადი	78
14.	სომხეთი	67,5
15.	ლატვია	55
16.	ყირგიზეთი	18,5

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ-1913“ (ᲤᲝᲗᲘ) — „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ (ᲮᲐᲨᲣᲠᲘ) 2:0 (1:0).

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 13 აგვისტო.

„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ-1913“: გვასალია, ჟვანია, ჭაჭია, გიორგაძე (ბაჯელიძე), გიგატაძე, შამთავა, თოფურია, ზახარაძე, ჭყონია (ინიაშვილი), თვარაძე (ტორჩინავა), ავრამიდისი.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“: მურადაშვილი, რ. ნოზაძე, მაღრაძე, ხარებაშვილი, ჯანგურიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, პოზოიანი, თუვზაძე (ვ. ნოზაძე), მღვდელაძე, რობაქიძე.

მსაჯები: ა. შილაკაძე, დ. მენთეშაშვილი, ვ. ეჯიბია (ხამივე — თბილისი).

გაფრთხილეს: რ. ნოზაძე.

მატჩი დაიწყო სტუმართა შეტევებით, პირველივე წუთებზე ქიმერიძეს ჰქონდა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ააცილა ცარიელ კარს. მე-15 წუთისათვის თამაში გათანაბრდა, ხოლო შემდეგ ინიციატივას ფოთელები დაეუფლნენ და გამუდმებით უტევდნენ ხაშურელთა კარს. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდათ თვარაძეს, ჭყონიას, ჟვანიას, მაგრამ კარგად თამაშობდა სტუმართა მეკარე მურადაშვილი. 38-ე წუთზე „ივერია“ დაჯარიმდა. საჯარიმო დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ოსტატურად შეასრულა თოფურიამ და გახსნა ანგარიში. 43-ე წუთზე ხარაზიშვილმა ვერ შეძლო ცარიელ კარში ბურთის გატანა. 55-ე წუთზე იმავე ხარაზიშვილს კვლავ ჰქონდა კარის აღების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მცველმა შამთავამ შეძლო კარის ხაზიდან ბურთის გამოტანა.

62-ე წუთზე გათამაშდა სამსვლიანი კომბინაცია გიორგაძე-თვარაძე-მახარაძე და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმთ მეორედ აიღო სტუმართა კარი. ეს მახარაძის მეცხრე ბურთია გატანილი ეროვნულ ჩემპიონატში.

მატჩის მიწურულს სტუმრებს შეეძლოთ პრესტიჟის ბურთის გატანა. რობაქიძე პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „კოლხეთი-1913“-მა.

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲛᲐᲜᲘᲐ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.

„ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ-1906“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ“ (ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ) 0:0.

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 13 აგვისტო.

„ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ-1906“- გვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, ძნელაძე, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი (კოპალეიშვილი), ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

„ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ“: ზოიძე, ხამაშურიძე, ათუაშვილი, ბერაშვილი, კალატოზიშვილი, ბარამიძე, ჩხაიძე, კალანდაძე, თეთრაძე, ნასუაშვილი, ჩიგოგიძე.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, დ. რეხვიაშვილი, გ. ბესთაევი (ხამივე — თბილისი).

გაფრთხილეს: ს. ბარამიძე.

ჯერ გაფრთხილეს, ხოლო შემდეგ მოედნიდან გააძევეს გ. ელიაშვილი.

ᲐᲛ გუნდების პირველი შეხვედრა ოზურგეთელთა გამარჯვებით დამთავრდა და, ამდენად, ეჭვი არ იყო, „შევარდენი-1906“ ეცდებოდა რევანშის აღებას; მით უმეტეს, რომ მან თავისი რიგები გაძლიერა ისეთი ჭამოცდილი ფეხბურთელებით, როგორებიც არიან მეკარე ვ. გვენცაძე და ბ. ჩადუნელი. თუმცა მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და, თუ არ ჩავთვლით ოზურგეთელი ჩიგოგიძისა და ბარამიძის წყვილის აქტიურობას და ყიფიან-ქობელაშვილ-მინაშვილის საინტერესოდ გათამაშებულ კომბინაციებს, მეტოქეთა კარებს რეალური საფრთხე არ შეჰქმნიზ. ტაიმის მიწურულს მინაშვილს ჰქონდა კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ მეკარე ზოიძე ადგილზე დახვდა ბურთს.

მეორე ტაიმი კვლავ ორმხრივი იერიშებით წარიმართა, მაგრამ შეტევის საბოლოო ფაზაში ფეხბურთელები ნაკლებ სიზუსტეს იჩენდნენ. მე-60 წუთზე ძლიერად დარტყმული ბურთი ზოიძემ კუთხურზე მოიგერია, ხოლო 84-ე წუთზე ძელმა იხსნა თბილისელთა კარი.

შეხვედრის დასასრულამდე არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ „შევარდენი-1906“-ს მეორე ტაიმის ნახევარი ათი მოთამაშით მოუწია თამაში. ამაში, უპირველესად, დამნაშავეა გ. ელიაშვილი, რომელმაც ვერ მოთოკა ნერვები და საჯარიმოს სათუოობის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. მან ჯერ გაფრთხილა, ხოლო შემდეგ — ვერ დააშოშმინა რა ფეხბურთელი — მოედნიდან გააძევა იგი. მსაჯთა ეს ბრიგადა პირველად სჯიდა უმაღლესი ჯგუფის შეხვედრას (!), შესაძლებელია, შეცდომებიც ექნებოდა, მაგრამ ვინც ტელევიზიით ნახა ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი, დარწმუნდებოდა, რომ მათ არ დაუშვათ იმ სახის შეცდომა, რომელიც შეხვედრის ბედზე რაიმე გავლენას მოახდენდა. ამიტომ ფეხბურთელს რომ შეეკავებინა თავი, მის გუნდს ათი მოთამაშით არ მოუწევდა თამაშის გაგრძელება. თითოეულმა ფეხბურთელმა, მსაჯმა, გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა შეიგნოს, თუ რა დიდ საქმეს ვართ შეჭიდებული და ეცადოს ღირსეულად იაროს დასახული მიზნისაკენ.

ᲘᲜᲒᲐ ᲩᲐᲮᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲑᲐᲗᲣᲛᲘ“ (ᲑᲐᲗᲣᲛᲘ) — „ᲚᲘᲐᲮᲕᲘ“ (ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ) 6:0 (2:0)

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 13 აგვისტო.

„ᲑᲐᲗᲣᲛᲘ“: ბალაძე, ზოგიტიძე, ჭეკედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ზედანია, მ. მახარაძე (კედელაძე), მაჭუტაძე (უჯმაჯურიძე), ი. მახარაძე (კულუმბეგოვი), ტულუში, მაისურაძე.

„ᲚᲘᲐᲮᲕᲘ“: ხანაკოევი, ვ. ზობოზოვი, მაისურაძე, ი. გობოზოვი, ბესთაევი, მძხალოვი, ქოქოევი, მარგიევი, ალ. ჯიოევი, ბუმბურიძე, ან. ჯიოევი.

მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ზ. ჯინჭარაძე, ა. კიკაბიძე (ორივე — ოზურგეთი).

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ პირველი ნახევარი საკმაოდ ერთფეროვნად მიმდინარეობდა. ბურთი ძირითადად ცხინვალელთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ტრიალებდა, მაგრამ თითქმის მთელი ნახევარი საათის მანძილზე ბათუმელებმა ვერ მოახერხეს სახიფათო მომენტის შექმნა მეტოქის კართან, თუ არ ჩავთვლით მ. მახარაძის საჯარიმო დარტყმას, რომელიც ძელმა „მოიგერია“. 29-ე წუთზე ბათუმელთა ერთ-ერთი მწვავე იერიში მაჭუტაძემ გოლით დაასრულა — 1:0. 36-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასული მახარაძე მოცელეს და მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, დურდიაძემ კვლავ ზუსტად დაარტყა პენალტი და თავისი მეათე ბურთი გაატანა (იგი ბათუმელთა ბომბარდირია). მეორე ნახევარი არ გავდა პირველს. ბათუმელები სწრაფად ამოქმედდნენ და მთელი ძალებით შეუტიეს მეტოქეს. 48-ე წუთზე მაისურაძემ საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან ძლიერად დაარტყა და ანგარიში გახდა 3:0, 55-ე წუთზე ტულუშმა კარგად ჩაატარა საჯარიმოში და კვლავ მაისურაძის ძლიერი დარტყმა — 4:0. ამის შემდეგ, 72-ე და 84-ე წუთებზე, უჯმაჯურიძემ და კიკლიაშვილმა კიდევ თითოჯერ აიღეს მეტოქის კარი. ამ გამარჯვებით ბათუმელებმა განიმტკიცეს პირველი ადგილი რთა ჯგუფში.

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲔ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.

„ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ“ (ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ) — „ᲑᲣᲠᲘᲐ“ (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ) 0:0

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი. 13 აგვისტო.

„ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ“: ბენიძე, ვართანოვი, ძალამიძე, შელია, ბ. ახვლედიანი, აფენდოპულო, ბ. ჩალიგავა, დ. კაკუბავა, გოგოხია (მ. ჭობალია), გუჩუა (მ. კაკუბავა), ურთმელიძე (შამათავა).

„ᲑᲣᲠᲘᲐ“: ქანთარია, მიქაბერიძე, კაბისაშვილი, გუჯაბიძე, მოუეიკანი, ცომაია, ბარათაშვილი, ფრიდრიკანი (ქურიძე), ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

მსაჯები: მ. მალალურიძე, გ. ბუჩუაშვილი (ორივე — თბილისი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი).

გაფრთხილეს: ნ. მიქაბერიძე, მ. კაკუბავა, მ. ჭობალია.

ᲐᲛ დღეს ოჩამჩირის ცენტრალურ სტადიონზე ხალხმრავლობა იყო. შეხვედრას 6 ათასი მაყურებელი დაესწრო, თუმცა სტადიონი 3 ათას კაცს იტევს. „ამირანს“ არასდროს აკლდა გულშემატკივარი, მაგრამ ასეთი განსაკუთრებული ინტერესი, ბუნებრივია, ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის „გურიის“ სტუმრობამ გამოიწვია.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ აფენდოპულოს და გუჩუას. სტუმრებმაც განახორციელეს რამდენიმე საპასუხო იერიში. ცომაიას, გუჯაბიძის და ფრიდრიკასის დარტყმები მოიგერია „ამირანის“

● „შევარდენი-1906“ — „მერცხალი“

ა. კოპლამაზაშვილის ფოტო.

34 წლის მეკარემ ბენიძემ, რომელიც სულ ახლახან სოხუმის „ცხუმიდან“ გადმოვიდა და მესამე მატჩს ატარებდა „ამირანის“ შემადგენლობაში.

მეორე ტაიმშიც, რომელიც ლანჩხუთელთა უპირატესობით წარიმართა, ბენიძეს რამდენიმე სახიფათო დარტყმის მოგერიება მოუხდა — ცომაიას და ბარათაშვილის ცდას, აეღოთ „ამირანის“ კარი, შედეგი არ მოჰყოლია.

შეხვედრის ბოლოს მ. კაკუბავასა და შამათავასაც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ, უშედეგოდ.

ᲗᲔᲜᲖᲘᲢ ᲞᲐᲪᲮᲝᲠᲘᲐ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.

„ᲝᲓᲘᲨᲘ“ (ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ) — „ᲡᲐᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝ“ (ᲡᲐᲛᲒᲠᲔᲓᲘᲐ) 0:2 (0:1)

რუხთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 13 აგვისტო.

„ᲝᲓᲘᲨᲘ“: ჭანტურია, კვიტატიანი, ნადარეიშვილი, ო. თუთბერიძე, ჯავაშვილი, ვანეიკინი (გოგოხია), მალანია, ტიბუა, ბიგვავა, ზდანჩუხი, თევზაძე (ხართანია).

„ᲡᲐᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝ“: თოდაძე, კობრეიძე, ვაშაკიძე, თვალაბეიშვილი, ტონია, რუხაძე, ბაბუნიძე, კოტრიკაძე, დადუნაშვილი, გოგაძე (ნაჭყუბია), ლორთქიფანიძე.

მსაჯები: ვ. ზეჩოიანი, ო. გუნთაძე, დ. თოდუა (ხამივე — თბილისი).

გაფრთხილეს: გოგაძე, ბაბუნიძე, („სანავარდო“) და ტიბუა („ოდიში“).

გოლები: დადუნაშვილი, გოგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანონსი, ანონსი, ანონსი...

შედეგები ხვალ გამოქვეყნდება

„ლელომ“ უკვე ორჯერ გამოაქვეყნა პასუხი იმ მრავალრიცხოვან შეკითხვებზე, რომლებსაც რედაქციაში ვიღებთ ლატარია სპორტპროგნოზ „იტალია-90“-ის თანრიგების ფანდვით შედეგების გამოქვეყნების თაობაზე.

გათამაშების შედეგები მხოლოდ გუშინ ვიმცოდნეთ საორგანიზაციო კომიტეტიდან რედაქციაში. დაინტერესებულ მკითხველებს ვაცნობებთ, რომ გათამაშების შედეგები „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში გამოქვეყნდება.

კალეიდოსკოპი

● **კალათბურთის** საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე, რომელიც ბუენოს-აირესში ჩატარდა, აირჩიეს ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტი, 66 წლის ამერიკელი ჯორჯ კილიანი. მან ამ პოსტზე შეცვალა ფრანგი რობერ ბიუსნელი. კილიანი საერთაშორისო კალათბურთს უხელმძღვანელებს მომავალ არჩევნებამდე, რომელიც 1994 წელს გაიმართება.

● **„ბერ დე ფრანსის“** ორგანიზატორებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ უკვე მეორე წელია, რაც პოპულარული ველორბოლის არც ერთი მონაწილე დოპინგის მიღებაში არ არის მხილებული.

● **პროფესიულ** მოკრივეთა შორის მსოფლიო ექსჩემპიონის ლეონ სპინკსესის 19 წლის ვაჟი კალვინი, რომლის დებიუტი რინგზე ამ ცოტა ხნის წინ შედგა, მოკლულია მეგობარი ქალის მიერ, როცა საკუთარ ავტომანქანაში ჯდებოდა. როგორც ფიქრობენ, ბოროტმოქმედება ჩადენილია ეჭვის ნიადაგზე.

● **მსოფლიო** ექსჩემპიონი კრივში — ჯორჯ ფორმენი, რომელმაც უკვე გადააბიჯა ოთხ ათეულ წელს, კვლავ წარმატებით გამოდის პროფესიულ რინგზე. 20 ოქტომბერს ნაირობიში (კენია) იგი შეხვდება 27 წლის არგენტინელ ვალტერ მასერონის. მას შემდეგ რაც რინგზე დაბრუნდა, ფორმენმა ოცზე მეტი ბრძოლა მოიგო.

● **ნბა-ს** კალათბურთელთა პროფესიული ლიგის საუკეთესო დებიუტანტად ერთხმადაა აღიარებული „სან-ანტონიოს“ ცენტრალური თავდამსხმელი დევიდ რობინსონი.

● **22 წლის** ჩეხოსლოვაკიელმა ველოსიპედისტმა მიროსლავ ლიპტაკმა სლოვაკიის ტრადიციულ რბოლაში გამარჯვებისთვის ჯილდოდ მიიღო დაფნის გვირგვინი და „შკოდა-ფავორიტის“ მარკის ავტომანქანა.

● **ევროპის** თანამეგობრობის ქვეყნების თორმეტმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან კანონს, რომელიც ძალაში შევა ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადაზე.

● **ამ დღეებში** კიოლნში ჩატარდება მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება „გრან პრის“ პროგრამით, რომელშიც მსოფლიოს ყველა ტიტულოვანი სპორტსმენის გამოსვლას ვარაუდობენ. „ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, როგორ ახერხებთ უძლიერეს სპორტსმენთა თავმოყრას ერთადო, — თქვა ტურნირის დირექტორმა მანფრედ გერმარმა და აქვე გასცა პასუხი შეკითხვას, — არაფერია გასაკვირი: სპორტსმენთა შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის 800 ათას მარკას ვიხდით.

● **უნგრეთის** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მთავარი სპონსორი გახდა დაზღვევის სახელმწიფო საზოგადოება. იგი ყოველწლიურად დააფინანსებს ოლიმპიურ კომიტეტს 3 მილიონი ფორინტით.

● **რასტგიუალეს** (გფრ) ხელოვნურსაფარიან სათხილამურო ტრამპლინზე ვარჯიშის დროს უხერხულად დაეცა და მძიმედ დაშავდა ცნობილი ავსტრიელი მხტომელი ერნესტ ვეტორი.

● **კიევის** „დინამოს“ ფეხბურთელი ოლეგ კუზნეცოვი განვლილ კვირას იტალიაში გაემგზავრა, სადაც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობას მიიღებს საწვრთნელ შეკრებაში და ამხანაგური მატჩების სერიაში. ამასობაში კი... ოლეგ კუზნეცოვს ელიან შოტლანდიაში. საქმე ისაა, რომ შოტლანდიის ცნობილმა კლუბმა „გლაზგო რეინჯერსმა“ მიიღო კიევის „დინამოს“ თანხმობა იმაზე, რომ ო. კუზნეცოვი გადავიდეს ამ კლუბში. „გლაზგო რეინჯერსის“ მწვრთნელმა გრეგ საუნესმა განაცხადა, რომ მისი კლუბი ამთავითვე იწყებს მზადებას ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებისთვის. ამიტომაც სწორედ ახლა ელის კიეველ ფეხბურთელს გლაზგოში. ო. კუზნეცოვი ის ფეხბურთელია, რომელიც კლუბს დიდად სჭირდება, მწვრთნელიც მისი იმედითაა.

„გლაზგო რეინჯერსის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კლუბი 1,2 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის ო. კუზნეცოვის საფასურად და მისი ჩამოსვლა დაგეგმილია აგვისტოში. მაგრამ კიევიდან ბოლო მომენტში ცნობა მოვიდა, რომ ო. კუზნეცოვს გაათავისუფლებენ მხოლოდ ნოემბერში, როცა დამთავრდება სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ქალაქ ხობის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი 1990-1991 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლე-სპორტსმენთა მიღებას სპორტის შემდეგ სახეობებში:

1. კრივი, 2. ფეხბურთი, 3. კლასიკური ჭიდაობა, 4. მძლეოსნობა, 5. ველოსპორტი, 6. ცურვა.

სასწავლებელში მიიღებიან 1974-75-76-77-78 წლებში დაბადებული ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც გააჩნიათ სპორტული თანრიგები სპორტის შესაბამის სახეობებში, აგრეთვე — უთანრიგო, მაგრამ პერსპექტიული მოზარდები.

სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება კომპეტენტური საგამოცდო კომისიის მიერ სათანადო ნორმატივების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

სასწავლებელში ჩარიცხული ქალიშვილები და ჭაბუკები უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სპორტული ფორმით, ინვენტარითა და კვებით. მოსწავლეები მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზე იქნებიან.

სასწავლებლის მოსწავლე სპორტსმენები სპორტულ დოსტატებასთან ერთად გადიან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ პროგრამას. 11 კლასის დამთავრებისთანავე მოწინავე სპორტსმენები რჩებიან სასწავლებელში და ირიცხებიან ორწლიან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ისინი მიიღებენ მწვრთნელის დიპლომს სპორტის არჩეულ სახეობაში; ამ ხნის განმავლობაში მათ არ გაიწვევენ სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს დილის 10 საათიდან; 27 აგვისტოს— კლასიკურ ჭიდაობასა და მძლეოსნობაში, 28 აგვისტოს — ცურვასა და ფეხბურთში, 29 აგვისტოს — კრივში და ველოსპორტში.

მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად საჭიროა ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

დაწერილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ ყოველდღე, დილის 9 საათიდან, გარდა კვირადღისა.

სასწავლებლის მისამართია: ქ. ხობი, რუსთაველის სანაპირო № 1, ხობის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი.

ტელეფონი: 30-16, 30-15, 30-77, 27-83.

უპირატესობას შენარჩუნება სჭირდება

ბუენოს-აირესი. ხანმოკლე შესვენების შემდეგ განახლდა კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური ტურნირები. როგორც ვიუწყებოდით, პირველ ჯგუფში ასპარეზობენ აშშ-ის, არგენტინის, პუერტო-რიკოსა და ავსტრალიის წარმომადგენლები, მეორე ჯგუფში კი — სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბრაზილიისა და საბერძნეთის გუნდები.

საბჭოთა ნაკრებმა სასტარტო მეოთხედფინალური მატჩი მოუგო საბერძნეთის გუნდს, რომელიც ამ ჩემპიონატს თავისი ლიდერის — გალისის გარეშე ატარებდა. პირველ ტაიმში ინიციატივას ბერძნები ფლობდნენ, რომლებმაც მოიგეს კიდეც პერიოდი — 40:37. საბჭოთა ნაკრებმა კი უპირატესობას მეორე ტაიმში მიაღწია და, საბოლოოდ, გაიმარჯვა — 75:57. დამარცხებულ გუნდში ყველაზე შედეგიანი ანაკისი იყო (22 ქულა), საბჭოთა ნაკრებში კი, ვოლკოვი (23 ქულა).

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში იუგოსლავიამ დაამარცხა ბრაზილია 105:86.

პირველი ჯგუფის მატჩები დამთავრდა ასე: პუერტო-რიკო — ავსტრალია 89:79, აშშ — არგენტინა 104:100 . საინტერესოა, რომ ამერიკელებმა ტაიმი 16 ქულით მოიგეს და შესვენების შემდეგ გაფლანგეს ეს უპირატესობა.

მეტს მოველოდით

იმ თერთმეტ მოკრივეთაგან, რომლებიც ჩელიაბინსკში, საკავშირო სპორტსახკომის პრიზზე გამართულ ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდნენ, მხოლოდ „მართველს“ წარმომადგენლებმა — რუდიკ კაზანჯიანმა (48 კგ) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა ჯაბა ცუხიშვილმა (91 კგ) — შეძლეს საპრიზო ადგილების მოპოვება, მათ, შესაბამისად, ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები ერგოთ.

დღეს, როცა სპორტის ეს სახეობა ჩვენში აღმავლობის გზაზეა, ასეთი უღიმღამო გამოსვლა დამაფიქრებელია და იგი სათანადო შეფასებას საჭიროებს.

ჯონსონი არ ჩქარობს

როგორც ცნობილია, ბენ ჯონსონს დისკვალიფიკაციის ვადა მიმდინარე წლის 24 სექტემბერს უთავდება. ამასთან დაკავშირებით, კანადის მძლეოსანთა ჩემპიონატზე სტუმრად მიწვეულმა ჯონსონმა კორესპონდენტებთან საუბრისას განაცხადა. რომ სარბენ ბილიკზე დაბრუნებას არ ჩქარობს და სტარტს პირველად ალბათ დარბაზში აიღებს. გრან პრის სეზონი მომავალი წლის 11 იანვარს იწყება ჰამილტონში და ჯონსონი სწორედ იქ ვარაუდობს გამოსვლას.

— დიდი ხანია ვვარჯიშობ. სპორტული ფორმა თითქმის აღვადგინე, მაგრამ მოვლენათა ფორსირებას მაინც არ ვაპირებ. კიდევ ხუთი თვე მაქვს წინ და ამ დროს მაქსიმალურად გამოვიყენებ.

ჯონსონის დაბრუნებას სპორტში კანადელი მძლეოსნები არც ისე დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან. სპრინტერმა ეტლი მახორნმა კი დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს პირდაპირ პირში მიახალა, რომ ესტაფეტაში მის გვერდით არ გამოვა.

ამჟამად ჯონსონი ყველა შეურაცხყოფას უსიტყვოდ ისმენს:

— ეტლის უფლება აქვს ასე იმსჯელოს, მაგრამ მომავალი წლისათვის, დარწმუნებული ვარ, სიტუაცია შეიცვლება. 100 მეტრზე რბენაში ვერავინ დამამარცხებს და გუნდს, რა თქმა უნდა, გამოვადგები. თუ ჩემს გვერდით გამოსვლას კანადელი სპრინტერები არ ისურვებენ, იძულებული ვიქნები მარტო ვირბინო. ჩემთვის მთავარია როგორმე დავბრუნდე სპორტში.

ეროვნული ნაკრების ჩემპიონატი რაგბიში

18 აგვისტოს თბილისის „ელმავალმა“ უმასპინძლა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს კიევის „ავიატორს“. თანაბარ ბრძოლაში გაიმარჯვეს უკრაინელმა მორაგბეებმა 10:9 (3:9).



ეთუცლელობა, რომელსაც ვინატრებდით

მკითხველს უთუოდ ეხსომება წელს, აპრილში მომხდარი, ქართული რაგბისათვის ჭეშმარიტად ისტორიული ამბავი: საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი საზღვარგარეთული ტურნე, ჩვენმა მორაგბეებმა აფრიკის სამხრეთში მდებარე ახალგაზრდა, ოღონდაც სარაგბო ტრადიციებით ცნობილ ქვეყანაში — ზიმბაბვეში რომ გამართეს. მას შემდეგ ოთხმა თვემ განვლო და ამ ხნის მანძილზე ზიმბაბვეში უცხოელ მორაგბეთა სტუმრობა არ შეწყვეტილა. მაისში, ქართველებთან შეხვედრებით გამოწრთობილმა ზიმბაბველებმა, თავიანთ დედაქალაქ ჰარარეში, მსოფლიო თასის აფრიკის ზონის შესარჩევ შეჯიბრებაში დამფჯერებლად აჯობეს ტუნისის, მაროკოსა და სპილოს ძვლის ნაპირის გუნდებს და საგაოსოდ გასამართი ფინალური ეტაპის საგზურიც მოიპოვეს. მერე იყო და, ივნისში ზიმბაბველებმა ინგლისელ მორაგბეებთან — ლანქაშირის საგრაფოს გუნდთან წააგეს დიდი საერთაშორისო სარბიელზე თავის გამოჩენა: ქვეყანა სულ ოთხი დღისა იყო და მორაგბეებმა დამოუკიდებლობის დღესასწაულის პროგრამაში შეტანილი თამაში მოუგეს ზიმბაბვეს — 38:18. მერე, აპრილში, ნამიბიელები ამაოდ ეცადნენ ზიმბაბვეში სტუმრად მყოფი ჩვენი გუნდის თავისთან გადაპატიჟებას. აი, მაის-ივნისში კი ნამიბიას სტუმრობით დიდი პატივი დასდო უელსის ეროვნულმა ნაკრებმა. ბრიტანელებმა, რომლებიც უკვე ორი წელია, რაც არნახულ ანგარიშით (6:49); ივლისში კი ქვეყანას პარიზის ოლქის ნაკრები ეწვია და ზიმბაბვეს ეროვნულ ნაკრებს პირველი თამაშიც მოუგო (22:13), მაგრამ განმეორებით შეხვედრაში მასპინძლებმა სტუმართაგან „ქვა ქვაზე არ დასტოვეს“ — 22:4 გაიმარჯვეს.

თუ ზიმბაბვე ათი წელია რაც არსებობს, სამხრეთ აფრიკის მეორე, და ასევე „სარაგბო“, — ქვეყანა — ნამიბია არსებობის ოდენ მეხუთე თვეს ითვლის. და მაინც, ნამიბიის ეროვნულმა ნაკრებმა უკვე მოასწრო კრიზისს განიცდიან, საფუძვლიანად გადაახალისეს შემადგენლობა და ნამიბიაში მათ კარგი გამოცდაც მოუწყეს: წაივარჯიშეს სამ პროვინციულ გუნდთან (ეს თამაშები უელსელთა ოილი გამარჯვებებით დამთავრდა — 73:0, 43:6 და 67:9), შემდეგ კი დედაქალაქ ვინდჰუქში ორი ტესტი გამართეს და უშეღავათო ბრძოლაში ორივე მოიგეს — 18:9 (9:3) და 34:30. ასეთმა „მოკრძალებულმა“ ანგარიშებმა არ უნდა გაგვაკვირვოს, რაკიღა ნამიბიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში საუკუნის წინ ჩასახლებული გერმანელების შთამომავლები არიან და სულ ბოლო დრომდეც სამხრეთ აფრიკის პროვინციათა ჩემპიონატში მონაწილეობდნენ.

ნამიბიელებს მოცლა არც უელსელთა გამგზავრების შემდეგ ჰქონიათ: საფრანგეთის ეროვნული ნაკრები ავსტრალიაში. რომ სტუმრობდა, ზუსტად იმ ხანებში ფრანგების მეორე გუნდი ნამიბიაში ასპარეზობდა. უელსელების. მსგავსად, ფრანგებმაც წაუგებლად განვლეს ტურნე — თამაშები 37:12, 24:15, 29:16 და 25:21 მოიგეს.

(სპ. ინფ.)

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი: ფოსტალიონის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სპორტი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერაბი“ — 93-97-26, „ხართვა“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20